ცნობის ფურცელი

VI წ. | ყოველ-დღიური გამოცემა | 1901 | ოთხშაბათი, 12 მარტი | № 1407

ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ციოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის ადგილი იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 14 მარტს

გასტროლი ქუთაისის დრამატიული დასისა

...ლ. **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით და გამგებლობით წარმოდგენილი ტრაგე-

ჰამლეტი

ტრაგედია 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგმანი თავ. ივ. მაჩაბლისა.

...ილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი 8½ საათზე.

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვ. მესხიშვილი, ოფელიას—ნ. ჩხეიძისა, ლაერტისას ...ბარგვიანი. (3—1)

...ფილისის კერძო

...ა ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

...ურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

...ბოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი დ ი თ:

...ა. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—... საათამდე.

...ბიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ...ლობა ელექტრობით — 9—10 ს.

...ნ. ა მულინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი... —10—11 საათამდე.

...ი. ბ. ასალშენიშვილი — კბილის სნეულებანი ...10—2 საათამდე.

...ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

...ქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

...ა. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა...ა—12—1 საათამდე.

...ა. დ. მარკევიჩი — საალოსტაქრო — 12½ ...ა საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

...ა. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და ...ალესი — 1½—2 საათამდე.

...ა. ბ. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა ...—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

...ა. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი ...5—6 საათამდე.

...ა. ა. ბელოგლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...ბოფობანი) და ბიერო ქიმიური გამოკვლევა.—5—6 საათზე.

...ურნალს აქვს საწოლი ოთახები.

...ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ღამე. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

...ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ბაპირ). ტელეფონი № 274.

...დირექტორი სამკურნალოსი

...ა.) მიხეილ გედევანიშვილი

მთავრობის განკარგულებანი

...ათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან თანახმად თხოვ...ა სარატოვის გუბერნიის, ვოლსკის მაზრის, მე-5 ...ილის სათადარიგო კორნეტი ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე და ...ატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი სტა...ი სოვეტნიკი ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 მარტი.

ქიევი. ღამით თოვლი მოვიდა, რამდენ...ერმე ქარ-ბუქი ასტყდა; ტემპერატურა ...ლამდე დავიდა; დიდი თოვლი დასდო.

ჩისტოპოლი. თბილა, წვიმს; გზებზე ...ალი დგას; სოფლებიდან ვეღარა მოაქვთ ...ი.

ტიუმენი. თბილი ამინდი დგას; გზა წა...ა.

გელსინგფორსი. 1 მარტს სტატსკი სოვეტნიკმა ბერენდტმა გაგზავნა პეტერბურგში ფინლანდიის სტატს-სეკრეტარიატის საქმეები 1809—1825 წლებისა. ეს საქმეები, უმაღლესის ბძანებით, ფინლანდიის სახემწიფო არხივიდან უნდა გადასკენ რუსეთის სახელმწიფო არხივს.

იოკაგამა. კორეის მთავრობა აცხადებს, რომ იმან დანიშნა დესპანები, რომლებიც გაიგზავნებიან უცხოეთის სხვა და სხვა მთავრობასთან. ჰფიქრობენ, რომ ამ დესპანების საგანი იქნება-დაიცვან კორეის ნახევარ კუნძულის ხელუხლებლობა.

კაპუტადტი. იტყობინებიან, რომ დევეტმა სენეკალთან ორი მიწაში ჩაფლული ზარბაზანი იპოვნაო. ეს ზარბაზნები ოდესმე ბურების გენერალ პრინსლოს ეკუთვნოდნენო.

ვაშინგტონი. ჰფიქრობენ, რომ ჩინეთს 200 მილიონ დოლარზე მეტის გადახდა არ შეუძლიანო. ამერიკა 25 მილიონით დაკმაყოფილდება და კიდევ უფრო ნაკლებსაც დასჯერდება, თუ სხვა სახემწიფოებიც შესაფერისად დააკლებენ თავიანთ მოთხოვნებს. ამერიკა იმისი თანახმაც კია, რომ სულ ასი მილიონი მოეთხოვოს ჩინეთს, მაგრამ თავის მოვალეობად მიაჩნია, რომ უზრუნველ ჰყოს თავისი ქვეშევრდომებისა და თავისი სახემწიფოსათვის ისეთი საზღაური, როგორიც შეეფერება სხვა სახემწიფოების მოთხოვნებს.

კონსტანტინოპოლი. მინისტრების საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ საბერძნეთის წინააღდეგ მიღებული დიფერენციალური ტარიფი გაუქმებულ იქმნეს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ჩემბერლენი აცხადებს, რომ ბურებს ისეთი განსაკუთრებული აზრი არა გამოუთქვამთ-რა კიტჩენერის-მიერ წარდგენილ პირობების წინააღმდეგაო. ბოტას თავის მხრით არავითარი წინადადება არ წარმოუდგენია. კერძო დეპეშაში კიტჩენერი იუწყება, რომ ბოტა მეტის-მეტად მკაცრად ელაპარაკებოდა მილნერსაო.

11 მარტი.

პეტერბურგი. იუ ბ. პოპოვის მამული, პავდინის მთა, განთქმული თავისი აუარებელი ხელ უხლებელი მინერალური სიმდიდრით და ტყეებით, სივრცით 330 დესეტინა, პერმის გუბერნიაში იყიდა ხერსონის მემამულემ გრაფმა ვ. ვ. სტენბოკ-ფერმორმა.

ვილნო. პოლესის რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლა შესწყდა ვილნო-ბარანოვიჩის შტოზე ნამქერისა და ქარ ბუქის გამო.

პეკინი. გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის ელჩები შეიკრიბნენ ჩინეთის ქონებრივ მდგომარეობის გამოსაკვლევად და სამხედრო ხარჯების ანაზღაურე ის და კერძო პირთა მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

ვენა. როგორც ხმა არის, დეპუტატთა დღევანდელ სხდომაზე საერთო საიმპერიო ხარჯების ავსტრიისა და ვენგრიას შორის გასანაწილებლად მიღებულ იქმნა ბერის წინადადება, რომ ავსტრიამ მიიღოს 65,4% ხარჯისა, ხოლო ვენგრიამ 34,6%. ყველა სხვა წინადადებები უკუგდებულ იქმნენ. ამავე საგნის შესახებ ვენგრიის დეპუტაციასთან მოსალაპარაკებლად არჩეულ იქმნა მკირე კომ სია შვიდი კაცისაგან შემდგარი.

შანხაი აქ მოვიდა გენერალი გეზლი. იაპონიის ფლოტის სამხედრო ფეხზე დაყენებასა და რუსეთის ფლოტის კორეიასთან შემოკრების შესახებ ხმები არა მართლდება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ 2 მარტს, ირლანდიის მფარველის წმიდა პატრიკის დღეს, ნიუკასლში (ტაინსზე) ირლანდიელებმა მოახდინეს კრება; კრებაზე ირლანდიელების დასის წინამძღოლმა ჯონ რედმონდმა სიტყვა წარმოსთქვა. რედმონდმა განაცხადა, რომ ამ ბოლოს დროს ირლანდიელებმა ფეხი მოიმაგრეს და უფრო თამამად შეუძლიანთ იბრძოლონ ერთგულ უფლებათა მოსაპოვებლადო. ეს მიზანი, რომელსაც ირლანდიელები ელტვიან, არის ერთგულად დამოუკიდებლობის მიღწევა და ამ მხრივ ირლანდიელებს სრულებით არ უნდა ჰქონდეთ ინგლისელების იმედი; ინგლისელებს მუდამ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ვიდრე ირლანდიის ერს არ მისცემენ ცალკე დამოუკიდებელი ერის უფლებას, იმდროამდე ირლანდია არასოდეს არ გახდება კმაყოფილი და ერთგული ნაწილი შეერთებული სამეფოსი. შედიან რა ინგლისის პარლამენტში, რომელიც რამდენიმე საუკუნეა, რაც ირლანდიასა სჩაგრავს, ირლანდიის დეპუტატები, მხოლოდ იმას უნდა ჰფიქრობდნენ, რომ ძალა დაატანონ ამ პარლამენტს და აღიარებინონ ირლანდიის უფლებანი. ამ პარლამენტის დარსების დაგვაზე ფიქრს ირლანდიელები ხომ გულშიც არ უნდა იტარებდნენ. პირიქით ისინი ყოველნაირად უნდა ეცადნენ, რათა გააგებინონ ინგლისის ერს, რომ ირლანდიელები კარეშე ხალხი არიან ინგლისის პარლამენტში და სანამ იმათ ძალით არ უშვებენ ამ დაწესებულებიდან, თვით პარლამენტარულ დაწესებულებათა არსებობასაც კი მიში მოედისო. მას აქეთ, რაც ინგლისის დიბერალებმა ზურგი შეაქციეს ჭომრულს (ირლანდიის საკუთარ პარლამენტს), ისინი წარმოადგენენ სუსტ დასს, რომელსაც არც წინამძღვარი ჭკვა და არც პოლიტიკა აქვს. დიბერალური ოპოზიცია პარლამენტში ფაქტიურად აღარ არსებობს: არის მხოლოდ ერთი—ირლანდიელების—ოპოზიცია. ეს ოპოზიცია მოახერხებს, რომ ჭომრულმა მაღე ისევ პირველი ადგილი დაიჭიროს; ხოლო რამწამს ირლანდია პარლამენტალურ თვით მმართველობას მიიღებს, მაშინ ჩვენი ქვეყანაც მაღე მოუდებს ბოლოს თავის ბედკრულ მდგომარეობას.

✿ ედზას-ლორენშიაც ძალიან თანაუგრძნობენ ბურებს. იქ ადრესი დაუწერიათ კრიუგერთან; ადრესში, რომელშიაც 1,391 კაცს მოუწერია ხელი, ედზას-ლორენელები თანაგრძნობას უცხადებენ პრეზიდენტ კრიუგერს და მის გმირ ერს და იმედს გამოსთქვამენ, რომ გაიგის სამედიატორო სასამართლო მაღე ბოლოს მოუდებს ამ უსამართლო ომსაო.

სტრასბურგში 3 მარტს მუსიკალური და ლიტერატურული საღამო გაუმართავთ ბურების ქალებისა და ბავშვების სასარგებლოდ. ვინმე გაბსტერს, რომელიც ტრანსვაალში ბურებთან ერთათ იბრძოდა, წაუკითხავს საინტერესო მოხსენება ტრანსვაალის შესახებ.

✿ ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა პრეტორიიდან, 28 თებერვლის რიცხვით. ამ დეპეშაში სწერია, რომ 26 თებერვალს 600 ბური დასტემია ბალმორალთან რკინის გზის მატარებელს, რომელიც ლორენცო მარკეზიდან პრეტორიაში მიდენილა; ბურებს მატარებელი დაუყენებიათ, 40 კაცი ტყვედ წაუყვანიათ, ნაწილი იმ ტასსაცმელისა, რომელიც ამ მატარებელზე ეოფილა, წინადვე დამზადებულ ფურგუნებზე დაუდვიათ და შემდეგ თითონ მატარებელი დაუწვავთ. ბალმორალი პრეტორიიდან 70 ვერსის მანძილზეა, გენერალ ფრენჩის ჯარების ახლოს, ხოლო ეს ჯარები, როგორც ცნობილია, ბოტას წინააღმდეგ მოქმედებენ. აკი ფრენჩმა მეტის მეტად შეაკიწროვა ბოტა, —ჭკითხეთობს ინგლ. გაზ. «დეილი ნიუსი»-ი.

✿ ინგ. გაზ «ვესტმინსტერ გაზეთ»-ს სწერენ კონსტანტინოპოლიდან, რომ მაკედონიის კომიტეტმა მიჭმართა ოსმალეთის სულთანს ენისტოლეთი, რომელშიც კომიტეტი ჩივის, რომ სალონიკში, მონასტირში და ადრიანოპოლში მოხელეები მეტად აწუხებენ ხალხსო და სთხოვს, რომ სულთანმა გამოძიება დანიშნოს ამის თაობაზე; ამასთანავე ენისტოლეები გაეგზავნათ ევროპიელ მონაწილეებს და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. ამ ენისტოლებში კომიტეტი თხოულობს დაარწმუნონ სულთანი, რომ საჭიროა ბერლინის ტრაქტატის მე-23 მუხლის შესრულებაო. კომიტეტი ნამეტნავად იმ გარემოებას აქცევს ყურადღებას, რომ სანჯაკეოსს ხელ შეკრულობის ძალით, მაკედონია თავისუფალი უნდა იყოს, მაშინ, როდესაც 1868 წლის ხელშეკრულობა მხოლოდ ავალებს სულთანს, რომ მან რეფორმები მოახდინოს კუნძულ კრიტზე და სხვა ევროპიულ პროვინციებში. მაგრამ მას შემდეგ კრიტს უკვე მიეცა თავისუფლება, მაკედონია კი ისეთ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, როგორშიაც არასოდეს არა ყოფილაო. თავის ენისტოლეში კომიტეტი დაწვრილებით ჩამოსთვლის იმ ბოროტ-მოქმედებას და შეეიწროებას, რომლებსაც ამ ყაზად მაკედონელები იტანენ.

ახალი ამბავი

✦ როგორც გადმოგვცეს, ტფ. სამოსამართლო პალატას უკვე შეუდგენია ბრალდებითი ოქმი ტფილისის გამგეობის წევრად ნამყოფების ბ.ბ. ივანენკოს, ვერმიშევის და არღუთინსკი-დოლგორუკოვის, ქალაქის თავის ბ. ევანგულოვის და გამგეობის წევრის ბ. ხოსროევის შესახებ და ამ დღეებში ჩაებარება ბრალდებულთ.

✦ რადგანაც გუშინ, 11 მარტს, ტფ. სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა, შემდეგი კრება დაინიშნა კვირას, 24 მარტისათვის.

✦ ხვალ, 13 მარტს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია სხდომა კავკასიის სამეურნეო

საზოგადოების საბჭოსი, რომელმაც უნდა განიხილოს საბაღოსნო სკოლის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ დღეს, 12 მარტს, მოხდება სხდომა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნება კომიტეტის ამა 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრო წელს აპირებს მოაწყოს ზოგიერთ უწყლო ადგილების მოწყვის საქმე კავკასიაში, ციმბირში და კასპიის იქეთა მხარეში.

✦ სამშაბათს, 13 მარტს, ადგილ-მამულის და საიჯარო გადასახადთა საგუბერნიო საკრებულო განიხილავს გადასახადთა გაწერის პროექტს ზაქათალის ოლქისათვის.

✦ ბ-ნ ვ. ალექ-ი-მესხიშვილს ამ კვირიდან ჩამოჰყავს თავისი დასი ქუთაისიდან და ოთხშაბათს გაჰმართავს პირველს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „ჰამლეტი“, სადაც მთავარ როლებს შეასრულებენ ბ-ნი მესხიშვილი, ჩხეიძე და სხვ.

✦ განზრახულია გააძლიერონ ამიერ-კავკასიის სასოფლო ქსენონების საშუალებანი, რადგანაც უკანასკნელ წლებში ხალხი დიდის ნდობით ეტანება ქსენონებს, ხოლო უკანასკნელთ, საშუალებათა სიმკირის გამო, არ შეუძლიანთ სავსებით დააკმაყოფილონ მოთხოვნილება.

✦ „ნოვ. ობოზრ.-ს“ ატყობინებენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დაარსოს ამიერ-კავკასიის საპატიმროებთან სკოლები.

✦ 10 მარტს პოლიციის მე-6 ნაწილში ჩხუბის დროს სპარსეთის ქვეშევრდომმა უსეინ-ალი-ოღლიმ ხანჯლით მძიმედ დასჭრა სპარსეთისავე ქვეშევრდომი საფარ-ალი-უსეინ ოღლი; დამნაშავე დააპატიმრეს, ხოლო დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

წერილი პეტერბურგიდან.

პეტერბურგის უნივერსიტეტის 1900 წ. ანგარიშში ვკითხულობთ შემდეგს:

თემაზე—„ისტორიულ-ლიტერატურული განხილვა თხზულებათა არჩილ მეფისა, გარდაცვალებულისა 1712 წელს“—წარმოგენილია ერთი თხზულება № 15 დევიზით: Sapiens nihil affirmat, quod non probet.»

ავტორი ამ თხზულებისა, საზოგადო წინა-სიტყვაობის შემდეგ, არჩილ მეფის შრომათა და ცხოვრებას ექვს შემდეგ მუხლად იკვლევს:

I. ბიოგრაფიული მიმოხილვა არჩილ მეფის ცხოვრებისა. ავტორმა აქ ქრონოლოგიურად და ფაქტიურად შეასწორა და შეავსო არჩილ მეფის და მისი სახლობის ცხოვრება თანახმად უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ დოკუმენტებისა. არჩილისა და იმის შვილის ალექსანდრეს ცხოვრება საინტერესოა რუსეთის ისტორიკოსისათვისაც. ამ მეფის თავგადასავალი სავსეა შავად-მღელვარე ცვალებადობით და ეს აშკარადა სჩანს იმის სავსე ნაწერებიდან: ჯერ მეფობდა კახეთს, მერე იმერეთში; ორჯელ იმგზავრა რუსეთს; უკანასკნელად, მე-XVII საუკუნის მიწურულში, დარჩა იგი მოსკოვს, სადაც გარდაიცვალა 1712 წელს. აქ არჩილი იმპერატორის პეტრე დიდის გულითად მეგობრად და ავტორიტეტიან მრჩეველად შეიქმნა სამხრეთ კავკასიისა და სპარსეთ-აღმოსავლეთის შესახებ საქმეებში, რითაც პეტრე დიდი ესე დაინტერესებული იყო. უფროსი შვილი არჩილისა ალექსანდრე ჯერ სწავლობდა მოსკოვში, შემდეგ, პეტრე დიდის სურვილით, გაემგზავრა სამზღვარ-გარეთ სამხედრო სწავლის დასამთავრებლად. რუსეთში დაბრუნების შემდეგ იგი მონაწილეობას იღებდა ნარვის უბედურ ბრძოლაში, ნოემბერში 1700 წელს. ამ ბრძოლაში ათ გენერალთა შორის კარლოს მე-XII ალექსანდრეც დაატყვევა და გაგზავნა შვეციაში, საიდანაც კარლოსმა შემდეგში ნება დართო ალექსანდრეს წასულიყო მოსკოვს მამის სანახავად, მაგრამ გზაზე გარდაიცვალ. რიგაში 1700 წელს.

ამ ბიოგრაფიულ მიმოხილვისათვის დისერტაციის ავტორმა ისარგებლა თითქმის ყველა დღემდე ცნობილ დოკუმენტებით.

II. განხილვა არჩილიანის (ე. ი. არჩილის თხზულებათა) როგორც გამოცემულ, ისე ჯერ გამოუცემელ სხვა-და-სხვა რედაქციებისა, ადწერა ხელნაწერებისა და მათი დაბირდაბირება. ამისათვის ავტორი სარგებლობს არჩილიანის ორი ხელნაწერით (სამეცნიერო აკადემიის აზიურ მუზეუმის და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის) და რამდენიმე დაბეჭდილ მოკლე გამოცემებით (არჩილიანის სრული გამოცემა არ არის); ამასთანავე ავტორს ენანება, რომ ვერ მოუხდა ესარგებლნა არჩილიანის იმ ხელნაწერით, რომელიც დაცულია ტფილისში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში. ეს ადგილი დისერტაციისა ისეთი ფაქიზი და დაწვრილებითი კვლევაა ავტორისა, რომ ერთი უმშვენიერესი ნაწილია თხზულებისა.

III. განხილვა არჩილიანის შინაარსისა. დართული აქვს კომენტარიები თანახმად დღემდე ცნობილ წყაროებისა; ამასთანავე ზოგიერთი თავი არჩილიანისა უფრო ვრცლად შემუშავებულია და შეძლებისა დაგვარად სიტყვა-სიტყვით თარგმნილი.

ამ ნაწილში ფრიად შესანიშნავია არჩილიანის ის ცნობები, რომელიც მოგვითხრობს არჩილის წინა და თანამედროვე 16 ქართველ მწერალ-პოეტებზე; ამის შესახებ კი სხვა წყაროებიდან ან სულ ცოტა ვიცით, ან კიდევ სულ არაფერი. დისერტაციის ავტორს ყველა ეს ცნობები თარგმნილი აქვს რუსულად.

IV. სად და რა დროს დასწერა არჩილმა თავისი თხზულებები. აქ ავტორი სამართლიანად ამტკიცებს, რომ უმთავრესი თვისი ნაწარმოებნი არჩილ მეფეს საქართველოს გარეშე დაუწერია, სახელდობრ: ოსეთს, ასტრახანს და მოსკოვში. არჩილსა აქვს აგრეთვე წვრილმანი ლექსები, რომელთა დაწერის დრო ავტორს ვერ გამოუკვლევია. შეიძლება ეს ლექსები არჩილმა კახეთს ან იმერეთს დასწერა, რადგან იმის ცნობებიცა გვაქვს, რომ არჩილი ჯერ კიდევ მაშინ ძალიან მისდევდა მწიგნობრობას.

V. ლექსწყობა და ენა არჩილიანისა. აქ ავტორი ერთთავად არჩილის ენასა და ლექსთა ზომის თავისებურობას იკვლევს, ამასთანავე ბევრი ორიგინალური და გონება მახვილი მოსაზრება აქვს გამოთქმული; გარდა ამისა, ცხადათა სჩანს, რომ ავტორი კარგი მცოდნეა ძველ ქართულ ლექსთწყობისა.

VI. ლექსიკონი არჩილიანისა. გამოკრებილია და მოთავსებული მხოლოდ ის სიტყვები, რომელნიც ქართულ ლექსიკონებში ან სრულიად არ მოიპოვებიან, ან სხვა მნიშვნელობითაა იქ ჩაწერილი. გარდა ამისა აღნიშნულია ის სიტყვები, რომელიც თვით არჩილს ეკუთვნის, აგრეთვე ის რუსიციზმები, რომელიც არჩილიანში შეტანილია.

ლექსიკონის შედგენაში ავტორის დაკვირვება და შრომის მოყვარეობა სჩანს.

ახალგაზდა ავტორს ღირსებად უნდა ჩავუთვალოთ აგრეთვე ის სიფრთხილე, რომლითაც იგი აღჭურვილია დასკვნა-შედეგების გამოყვანაში: ის მუდამ ფაქტთა ნიადაგზეა დამყარებული და, როცა ფაქტი საკმაოდ გამტკიცებული არ არის, გაურბის სათუო მოსაზრების დასკვნასა, თუნდა იგი ძალიან ხელ-საყრელიც იყოს.

დასასრულ, თხზულება დაწერილია კარგის ლიტერატურულის ენით.

აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტმა ავტორი თხზულებისა, № 15, ამავე ფაკულტეტის მესამე სემესტრის სტუდენტი გიორგი ყაზახაშვილი, დააჯილდოვა ოქროს მედლით.

პროვინცია

დიდი ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა). კვირას, 5 მარტს, დიდი ჯიხაიშის ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდა 1900 წლის წლიური კრება ადგილობრივ სამარხი კასსის წევრთა, რომელსაც კასსის მმართველობამ წარუდგინა განსახილველ-დასამტკიცებლად სანგარიშო წლის შემდეგი ანგარიში.

წასულ სანგარიშო წლის განმავლობაში კასსის დაარსების დღიდან (კასსა დაარსდა 1 მაისს 1900 წელს) ამხანაგად შემოსულა სულ 151 წევრი (1901 წლის 1-ლ იანვრამდე).

შემოსავალი: საწევრო შემოსატანი ერთ-ჯერადი ორ-ოდი მანეთი ხელ-უხლებელ თანხასთვის შემოვიდა 302 მან.; სამარხის შესაწევი თითო მანეთიდან—151 მან.; კასსაზედ მომხდარ ხარჯების დასაკმაყოფილებლად ხუთ-ხუთი შაურიდან წევრზე—37 მან. 75 კაპ.; ხუთ-ხუთი შაურებიდან, იმ პირთაგან შემოტანილ, რომელთაც წევრობის სურვილი განაცხადეს და საწევრო ფული ჯერ არ შემოუტანიათ, შემოვიდა 6 მანეთი; ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში სასარგებლოდ მიბარებულს 270 მანეთს სანგარიშო წლის განმავლობაში მოუტია სარგებელი 11 მან. და 99 კაპ.. ასე რომ სანგარიშო წლის განმავლობაში კასსას შემოსვლია სხვა-და-სხვა წყაროებიდან სულ 508 მან. 74 კაპეიკი.

გასავალი: ქონებად კასსას აქვს: ერთი შკაფი, დირებული 9 მან.; ბეჭედი და მტემპელი—6 მან..

სამარხი კასსის დაარსების სურვილის დღიდან სამინისტროში თხოვნების გაგზავნასა და მარკებში და შემდეგ დაარსების საჭირო წიგნებში და ბლანკებში, აგრეთვე სხვა-და-სხვა წვრილმანებში კასსას დაუხარჯავს სანგარიშო წელს—36 მან. 39 კაპ., ასე რომ სანგარიშო წლის განმავლობაში კასსას დაუხარჯავს სულ 51 მან. 39 კაპ.; შემოსულა 508 მან. 74 კაპ. გასულა—51 მან. 39 კაპ.; 1901 წლის 1-ლ იანვრისათვის კასსას დარჩენია ნაღდი ფული—457 მან. 35 კაპ..

ფულების განაწილება: 1901 წლის 1-ლ იანვრიდან ბანკში სარგებლობს თავნი 270 მან. და მისი 1900 წლის სარგებელი 11 მან 99 კაპ., სულ 281 მანეთი და 99 კაპ.

გამგეობას ჰქონია ხელში სამარხი კასსის შესწევი 151 მან., გამგეობასვე ჰქონია მეტი ფული 6 მანეთი და 1900 წლის ბოლოს შემოსულა ამხანაგობაში წევრებისაგან შემოტანილი 18 მანეთი და 36 კაპ.

ანგარიშის მოსმენისა და დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა გამგეობისაგან წარმოდგენილ კითხვების განხილვას და გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევას. კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა განაჩენი, რომელშიაც, სხვათა შორის, დამტკიცებულია დადგენილება გამგეობისა, რომ სამარხის შესაწევ ფულისაგან გამტანმა დასტოვოს დანარჩენ ამხანაგთა სასარგებლოდ 5 პროცენტი.

ან—შინ

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭეონია.	ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 9 მარტს.

ფექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,65
ბერლინზე 100 მარკაში	45,82½
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,57½
ბირჟის დისკონტი	5¾,—7¼%

	მყიდვ.	გამყ.	გაყიდ.
	მანათი.		
4% სახელმწიფო რენტა	96	—	—
4½% შინაგანი სესხი 893 წ.	—	—	100¼
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	96	—
5% 1 ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	344¾
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	—	—	288½
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	—	221
3½% გირავ. ფურცელ. მამ. ბანკისა	89	—	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცელ	—	93½	—
4½% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	87¼	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცელ	—	—	—
5% გირავნ. ფურც. მავე ბანკისა.	93	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	95½	92
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	—	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთ ხელ—ოთხშაბათობით დღის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოდან ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დღის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 12 წ. (8 ს. 10 წ.)

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამოს 6 საათ 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დღის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 8 ს. 23 (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დღის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დღის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. 42 (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის სადამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 ...)

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დღის 11 ... 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 ...), ბაქოში ჩადის დღის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 13 მარტს, 1901 წ. 1 საათზე

დანიშნულია საჯარო

ვაჭრობა,

რომლითაც გაიცემა იჯარით ბეტონის წყალსადენის გაკეთება პანარევიჩის ქუჩაზე ბაშიჯაღოვის სახლამდე, გონჩარნი ქუჩაზე, პოლიციის მე-VIII ნაწილში სიგრძით 115 საჟენი ღირებული 2665 მანეთად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. (ნ. 3—2)

თხუზლება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Марта 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, გახქის დიდ ქუჩა, № 27.